სახალხო გაზეთი

№ 537 ოთხშაბათი, 29 თებერვალი 1912 წ. № 537

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი [illegible]-დან 1-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს“

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის წიგნის მაღაზიისა** და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

[სურათებიანი დამატება]

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.**

1 მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

ზაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

გამოვიდა და იყიდება
ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნის მაღაზიაში
ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
სალიტერატურო კრებული
„გრდემლი“
ფასი 1 მ. 50 კ. (თ. 1098.18)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

აცხადებს, რომ სალიტერატურო კრებულ „გრდემლის“ მეორე წიგნისთვის

მასალები მიიღება მარტის ბოლომდე.

კრებულის გამოცემა განზრახულია სამაისოდ.
მისამართი: ოლგის ქუჩის შესახვ. № 5 გ. რცხილაძეს. (10.1124.6)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

შეუდგა ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა გამოცემას. წიგნი სივრცით 200 გვერდამდე იქნება და გამოვა ნაადგომევს. წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ.
ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.
(20—1125—6)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ. ავ. ქალთ. (ქირურგ. გინეკ.)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალ. სნეულ. განყ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—280)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., **№ 12.** სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. **№ 5.**

სერაფიმა სერგეის ასული ბალაშვილისა შვილებითურთ მადლობას უხდის ყველა იმ პირთ, საზოგადოებებს და კორპორაციებს, რომელთაც თანაგრძნობა გამოგვიცხადეს პირადად, დეპეშითა თუ გამოსვენებაზე დასწრებით საყვარელ მეუღლის
კონსტანტინე ტიმოთეს ძის ბალაშვილის
გარდაცვალებისა გამო.
(1—260—1)

ახალი კლუბი
ოთხშაბათს 29 თებერვალს
იაფ-ფასიანი ლოტო.
(2—1119—2)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, **№ 10.** ტელეფ. 792. (თ. 100—1534—101)

—ქართული თეატრი—
მრუდე სარკე
სალამო სიცილისა, სალამო მხიარულებისა, სალამო მეგობრული შარჟისა.
პირველათ მხიარულ ქართველებთან **კვირას, 4 მარტს** საზოგადოებას ეძლევა შემთხვევა უსაზღვროთ იმხიარულოს.
(2—1133—2)

მარტის პირველ რიცხვებიდან
კვლავ გაიხსნება
ფართედ დაყენებული
კაფე-პარიზი
ქართველთა თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა.
(თ.—1132.2)

სავაჭრო სახლი
ლ. და მ. მეტცლი და ამხ.
განცხადებათა ცენტრალური განყოფილება
(1878 წ. დაარსებული)
მოსკოვში
ვარშავაში, პეტერბურგში, ვილნოში, ბერლინში, პარიზში, ნიუ-იორკში, ბოსტონში, ბუფალოში.
ამით აცხადებს
რომ მთელ ქვეყნის გამოცემებისთვის
ხელის-მოსაწერად და განცხადებებისთვის გახსნა თავის კანტორის განყოფილება
ქალაქ ლოძში.
პეტროვის ქ., 102. (10—130—2)

განცხადება.
მიხეილის საადგილ-მამულო სააზნაურო ბანკის გამგეობა ქუთაისში
საყოველთაოდ აცხადებს, რომ ფინანსთა მინისტრმა ნება დართო ხსენებულ ბანკს გასცეს გძელ-ვადიანი სესხი ქობულეთის, მანგლისის, ცხინვალის, მიხაილოვის, სურამის, ჭიათურის, ონის, და რედუტ-კალეს უძრავ მამულებზე იმავე წესით, რა წესითაც საზოგადოდ ქალაქების მამულებზე იცემა სესხი.
(3—1097—3)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. **№ 8.** ტელეფონი **№ 695.**
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
. ბა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
წამლობა „606“-ით.
(წლ. 1090 283)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., **№ 20.**
(წ. 1249 87).

ექიმი დ. სურამში **აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძე**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს.
(თ.—235—11)

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. **№ 18,** თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. **№ 1182.** (თ. 1591 115)

ექიმი ქ. ქუთაისი. **იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი**
ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი“. (თ.—1129—3).

ექიმი **ე. ი. მინასიანცი**
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე, ელისაბედის ქ., **№ 39,** ტელეფონი **№** 1 67.
(100—1117—105).

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ.
(25—249—9)

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1147 246)

გამოცდილმა მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.
აგრედვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. вход съ подъѣзда, нижній звонокъ спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памят. Воронцову).
(თ. 1084.99)

ექიმი **ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. **№ 12** ს. (9—52.

ექიმი **პ. არდაზიანცი**
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, **№ 3.** დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.56)

ქართული პრესა

ქუთათური „ცხოვრების“ აზრით, საკმარისია მისმა პუბლიცისტებმა სთქვან, შუქს მთვარე აყენებს მზესა და არა მზე მთვარესაო, მართლაც რომ ასე მოხდეს, ან ქვეყანა დააჯერონ, რომ მოხდება. ასე „ცხოვრება“ კვლავ იმეორებს თხუთმეტჯერ გადაღეჭილ აზრს: ნაციონალიზმი ყველგან ნაციონალიზმაო. სრული ჭეშმარიტებაა! ნაციონალიზმი ყველგან ნაციონალიზმა, როგორც უმეცრება ყველგან უმეცრებაა. სრული ჭეშმარიტებაა, რომ უპატრონო ეკლესიას ყველგან ეშმაკები ეპატრონებიან და ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენს უპატრონო მწერლობას „ცხოვრების“ პუბლიცისტის მსგავსი ეშმაკები ეპატრონებიან. ყველა ეს სრული ჭეშმარიტებაა და ჩვენც სავსებით ვეთანხმებით „ცხოვრება“-ს. მაგრამ მაინც ვერ გაგვიგია, რა აზრი აქვს ამ სიტყვებს:

> „აბა ერთი გვიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, ქართველი ნაციონალისტები რად უნდა შეადგენდნენ საერთო წესიდან გამონაკლისს? მოიყვანეს მათ ოდესმე რაიმე საბუთი ამის სასარგებლოდ? არა, არასოდეს! სამაგიეროდ, როცა ჩვენ მივუთითებთხოლმე მათი თანამოაზრეების მოღვაწეობაზე სხვა ქვეყნებში, ისინი ისტერიულ კივილს მორთავენ, ლაზათიანად გამოილანძღებიან და ჰგონიათ, რომ ამით თავის სიმართლეს ამტკიცებენ. მაგრამ ჩვენ ვეჭვობთ, რომ ამ ხერხს დღეს მათ მეგობრებშიაც დიდი გასავალი ჰქონდეს“.

ჩვენი თანამოაზრენი კი, „ცხოვრების“ აზრით, პურიშკევიჩი და ტიმოშკინი არიან. ამას ამბობს „ცხოვრება“ და თან თხოულობს საბუთები წარუდგინოთ, რომ ჩვენ და პურიშკევიჩი ერთნაირად არ ვფიქრობთ, ერთნაირად არა ვსწყვეტავთ ეროვნულ საკითხს. არ ვიცით, იქნება როდისმე დადგეს ისეთი უბადრუკი დრო, როდესაც ასეთს ლათაიებს პრესა სერიოზულ ანგარიშს გაუწევს, მაგრამ ჩვენ კი ღმერთმა დაგვიფაროს ამ უბედურებისაგან. დარწმუნებული ბრძანდებოდეს „ცხოვრება“, რომ ასეთი წერილები ზიზღის მეტს არაფერს გამოიწვევენ ყოველ შეგნებულს მკითხველში.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რა აურ-ზაური გამოიწვია ამერიკის მიერ რუსეთთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულობის დარღვევამ. ამერიკამ აღარ მოისურვა ამ ხელ-შეკრულობის განახლება. რადგანაც რუსეთში ამერიკის ქვეშევრდომ ებრაელებს სდევნიანო. სწორედ ამავე ნიადაგზე უკმაყოფილება დაბადებულა ინგლისშიაც. ინგლისურ „ტიმეს“-ში დაბეჭდილია წერილი ორ გავლენიან ებრაელისა.

> „ფრიად არა ბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფებიან ინგლისის ქვეშევრდომი ებრაელები რუსეთში,—სწერენ ზემოხსენებულ გაზეთში,—რადგანაც რუსეთის მთავრობა ზღუდავს მათს უფლებებს... ამ შეზღუდვამ შეერთებულ შტატებში კიდეც დაჰბადა უკმაყოფილება, რასაც შედეგად მოჰყვა 1832 წლის სავაჭრო ხელ-შეკრულების დარღვევა. ებრაელთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი სარგებლობენ შემთხვევით და აცნობებენ ინგლისის მთავრობას, რომ საფრანგეთისა, გერმანიისა და ავსტრიის ებრაელებსაც აზრადა აქვთ სათანადო წინადადებით მიჰმართონ თავიანთ სახელმწიფოთა მთავრობებს.

ამის შემდეგ წერილის ავტორები ამტკიცებენ, რომ, თანახმად პეტერბურგში 1859 წელს დადებულ ხელშეკრულობისა, რუსეთის მთავრობას ნება არა აქვს ინგლისის ქვეშევრდომთა უფლებები შეზღუდოსო.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

როძიანკო თავმჯდომარეობს.

მესამედ განსახილველია რუსეთის სამეურნეო მანქანათა დამზადების წარმატებისათვის მისაღებ ზომების კანონ-პროექტი. პირველი, მეორე და მესამე ნაწილი პროექტისა საფინანსო კომისიის დასკვნის თანახმად მიიღეს.

მესამე ნაწილი მიიღეს **ბერეზოვსკი** პირველის შესწორებით. ბერეზოვსკის შესწორება მოითხოვს სამეურნეო მანქანათა ნაწილების უცხოეთიდან უბაჟოდ შემოტანას. საფინანსო კომისიის წინადადებით გადასწყვიტეს, სამეურნეო მანქანათა ნაწილების ფასდაკლებით შემოტანა დაიწესონ მხოლოდ ზოგიერთ საბაჟოში, რომელთა სია ფინანსთა მინისტრმა უნდა შეადგინოს. მეოთხე განყოფილება მიიღეს ძიუბინსკისა და ანდრეიჩუკის შესწორებით სათიბ

და სალეწ მანქანათა უბაჟოდ შემოტანის თაობაზე. შესწორების წინააღმდეგია ვაჭრობის მინისტრის საბჭოს წევრი **ლანგოვოი.**

მეხუთე განყოფილება ზოგიერთა მანქანების დამზადებისათვის ჯილდოს მისაცემად გადადებულ ფულს ეხება. ეს განყოფილება პროექტის მეორედ განხილვის დროს გამოსტოვეს. ეხლა ვაჭრობის მინისტრმა მოითხოვა მისი მიღება. მინისტრს მიემხრო კომისია. ჯილდოს დანიშვნის წინააღმდეგნი არიან **კოსოროდოვი, ბერეზოვსკი პირველი და კროპოტოვი,** მომხრეა **ლერხე, ნოვიცკი მე-2** და **მომხსენებელი ციტოვიჩი.** მინისტრის შესწორება ჯილდოს დანიშვნის თაობაზე სათათბირომ 107 ხმით 99 წინააღმდეგ უარჰყო, კანონ-პროექტი მიიღეს და სარედაქციო კომისიას გადასცეს.

ანტონოვმა. მოითხოვა, კომისია ავირჩიოთ ბამბის მოყვანის თაობაზე შემოტანილ და შემოსატან პროექტების განსახილველადაო.

კუტლერს უკვირს, როგორ შეიძლება მაგისთანა საკითხის წამოყენება იმ დროს, როდესაც სათათბირო ხარჯ-აღრიცხვის განხილვაშია გართულიო და დროც არა აქვსო.

ნოვიცკი მე-2 მომხრეა კომისიის არჩევისა. წინადადება მიიღეს.

გერასიმოვი. აღნიშნავს ზოგიერთ გასაკვირველ მოვლენასა და ყველაფრის დაგვიანებას, იმ კომისიაში, რომელსაც ტიზენჰაუზენი თავმჯდომარეობს. იგი მოითხოვს კომისიიისაგან მოსამსახურეთა დაქირავების თაობაზე მოხსენების საჩქაროდ შემოტანას.

ტიზენჰაუზენი ყველაფერს ოპოზიციის ობსტრუქციას ახვევს თავზე.

კუზნეცოვი. ტყუილად ელით მოხსენებას, როგორც საზოგადოდ მუშათა შესახებ კანონებს, ისე ამასაც თუ სათათბიროში არ მოსპობენ, საბჭოში ხომ უეჭველად დაჰღუპავენო.

ნეკრასოვი მოითხოვს, დროა ტიზენჰაუზენის მოღვაწეობას ყურადღება მიაქციოს სათათბირომაო და ტიზენჰაუზენის სხვა და სხვა დროის განცხადებებს კითხულობს. სათათბირომ ერთხმად გადასწყვიტა კომისიას ორი კვირის ვადა მისცეს მოხსენების წარმოსადგენად.

სათათბირო შეუდგა მეთევზეობის წესდების ცვლილებათა პროექტის განხილვას და 14 ვიდრე 35 მუხლამდე მიიღო.

წაიკითხეს საჩქარო შეკითხვა სოციალ-დემოკრატებისა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი. იგი ეხება მუშათა საპროფესიო ორგანიზაციების უფლების დარღვევას. პეტერბურგის ქალაქის უფროსს, ოთხი მარტის კანონის მიუხედავად, მოუთხოვნია საპროფესიო კავშირის გამგეობას პოლიციელის თანადასწრებით უნდა ჰქონდეს კრებაო.

კუზნეცოვი იცავს შეკითხვას. მოჰყავს მუშების ორგანიზაციების დევნისა და წევრთა დაპატიმრების მაგალითები. ამას ხელს უწყობს სათათბირო, რომელიც სოციალ-დემოკრატების შეკითხვებს უარჰყოფს ხოლმე. იგი ამით მხარს უჭერს მთავრობის უკანონო მოქმედებასაო.

ნოვიცკი მე-2. შეიძლება ინგლისის გაფიცვამ შეაშფოთა ჩვენი სოციალ-დემოკრატებიო. პოლიცია ძალიან კარგსა შვრება, თუ თვალყურს ადევნებს ყოველგვარ დამნაშავეთა ორგანიზაციებს. თუ ორგანიზაციებს მარტოოდენ საპროფესიო საქმე აქვთ, პოლიციისა არ უნდა ეშინოდეთო. წინააღმდეგია სწრაფად განხილვისა. **კუზნეცოვისა და ნოვიცკის** ხელმეორედ ლაპარაკი. შემდეგ

შეკითხვას სწრაფად განხილვის საჭიროება უარჰყვეს 113 ხმით 75 წინააღმდეგ.

შემდეგი სხდომა მოხდა დღეს. განსახილველი იყო კომისიის მოხსენება 1912 წ. ხარჯთაღრიცხვის თაობაზე.

სახელმწიფო საბჭო

27 თებერვლის სხდომა.

გოლუბევი თავმჯდომარეობს. იხილავენ პროექტს სისხლის სამართლის წესდებულების დადგენილებათა შეცვლის და სასჯელის დებულებათა დამატებისას.

მომხსენებელი ტაგანცევი. განზრახული ცვლილებანი გააფართოვებს იმ დასაბამს, რომელნიც საფუძვლად უდევს ალექსანდრე მე-II სასამართლოს დებულებას. უმთავრესი ცვლილებანი ბრალდებულის პიროვნებისა და უფლებათა დაცვის, სასამართლოს დამოუკიდებლობის გაფართოვებისა და სისხლის სამართლის წარმოების გამარტივებასა და სწრაფ წარმოებას ეხება.

საბჭომ ზოგიერთ შესწორებით მიიღო ის მუხლები, რომელნიც არკვევენ მომრიგებელ იუსტიციის ქვემდებარე საქმეებს და მომრიგებელ მოსამართლეებთან საქმის დაწყების წესრიგს.

სხდომა დროებით შესწყვიტეს.

სხდომის განხლების შემდეგ კომისიის რედაქციით მიიღეს, დანარჩენი მუხლები **დეიტრიხისა, ტაგანცევისა და ტურაუს** შესწორებით. სასჯელთა დებულებას შემდეგი დაუმატეს: იმ პირს, რომელსაც უფლება არა აქვს სხვისი საქმე აწარმოვოს სასამართლოში, ხოლო აწარმოებს კი, სამი თვით ციხე მიესაჯოს, ხოლო თუ ასეთი რამ კიდევ გაიმეორა 8 თვემდე დააპატიმრონ.

შემდეგი სხდომა ორ მარტს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქალაქის მოურავის მოადგილედ** გამგეობის წევრი თავ. ა, მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი აირჩიეს. მეორე კანდიდატმა გ. დ. ჟურულმა ყუთის დადგმაზე გადაჭრით უარი განაცხადა.

◆ **ტრამვაის დაჯარიმება.** ქალაქის თვითმმართველობის მთავარმა კონტროლიორმა გუშინ ქალაქის გამგეობას წერილობით წინადადება მისცა, ტრამვაის დირექცია კიდევ 56,000 მანეთით დააჯარიმეთ, რადგანაც ტრამვაის ვაგონები სამუშაოდ გვიან გამოჰყავს, მუშაობას კი ადრე სწყვეტავსო.

◆ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნ. წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი** პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც მონაწილეობას მიიღებს სრულიად რუსეთის გუბერნიების თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრებაზე. თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილის მოვალეობის დროებით აღსრულებას ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ნ. ი. საგინაშვილი შეუდგა.

◆ **საულელტეხილო გზის** გასაყვან ხარჯის გამოსარკვევად პეტერბურგიდან კავკასიაში იგზავნება საგანგებო სატეხნიკო კომისია.

◆ **ავლაბრის სავაჟო გიმნაზიის საპატიო თავჯდომარედ** ქალაქის საბჭომ ხმოსანი ა. ს. ბაბოვი აირჩია.

◆ **ქალაქის გამგეობის წევრმა ნ. პ. ქოქჩაევმა** ამ თანამდებობას უკვე დაანება თავი.

◆ **აბესალომოვის სახელობის სტიპენდია** ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ ვაჟთა პირველ გიმნაზიის მოსწავლეს შალვა მატაფიევს მიანიჭა.

◆ **ბაქოდან ჩამოსული მფრინავნი** ტფილისში აღარ გამართავენ ფრენას. ტფილისიდან კვლავ აბქოსაკენ გაემგზავრებიან.

◆ **ალექსანდრე კვერკველაძე,** რომელიც ამ დღეებში გარდაიცვალა, 26 თებერვალს დაასაფლავეს. განსვენებული ცნობილი იყო ტფ. სალიტერატურო წრეებში როგორც „ივერიისა“ და „ვოზროჟდენიეს“ თანამშრომელი 1904—1905 წლებში. დიდს მონაწილეობას იღებდა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა წრეებშიც, რისთვისაც სამსახურიდან გააძევეს, უკანასკნელ ხანს ტფ. სათავად-აზნაურო ბანკში მსახურობდა.

◆ **საყურადღებო ლექცია** 27 თებერვალს სახაზინო თეატრში „ადამიანის სულის საიდუმლოების შესახებ“ დიდად საყურადღებო ლექცია წაიკითხა სახალხო ჟურნალის „ჟიზნ დლია ვსეხ“-ის რედაქტორმა ვ. პოსსემ. თემა შეეხებოდა დოსტოევსკის შემოქმედებას. ტფილისის საზოგადოებას ეს პირველად ესმის იშვიათად, წრფელი-აღფრთოვანებით აღსავსე სიტყვა. მთელი თეატრი სმენად იყო გადაქცეული. თავისი ძლიერის, ცოცხალის, მხატვრული მჭერმეტყველებით ორატორმა გაიტაცა ყველა დამსწრენი განურჩევლად მიმართულებათა. დაწვრილებით ანგარიშს როგორც ამ ლექციისას, ისე მეორისას, ხვალ დავბეჭდავთ.

◆ **გარდაიცვალა** მიხეილის საავადმყოფოში ჩოხატაურის მცხოვრები პანტელეიმონ მოსეს ძე ბორჭინაშვილი, 12 წლისა (ტფ. ექვსკლასიან სამოქალაქო სასწავლებლის მე-6 კლასის მოსწავლე), რომელსაც რამდენისამე დღის წინად „ვეტცელ“-ის სასტუმროში სამოვარიდან ცხელი წყალი გადაესხა ტანზე.

◆ 27 თებერვალს მლეთის ქუჩაზე ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს, მდედრობითის სქესისა, დაახლოვებით ორის კვირისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

◆ **27** თებერვალს ქალაქის თავშესაფარში უეცრად გარდაიცვალა ტფილისის მაზრის სოფელ ოლგაშენის მცხოვრები ალექსანდრე ნიკიფორეს-ძე მატფეევი 52 წლისა.

◆ 27 თებერვალს ტფილისში 27 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ ტფილისში უკვალოდ დაიკარგა ნიკოლოზის ქუჩაზე მცხოვრები დიმიტრი დოგუზაშვილი, 24 წლისა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის პირველ ხარისხოვან მსესხებელთა საერთო კრება** 27 თებერვალს მოხდა 35 რწმუნებულის ასარჩევად მომავალ სამის წლისათვის. არჩეულ იქმნენ; ნ. ი. აბაშიძე, ი. ა. ბარათაშვილი, ა. ზ. ბერელაშვილი, ვ. გ. ბერელაშვილი, ი. გ. ბარათაშვილი, ს. ი. ყაზახიშვილი, მ. ა. გედევანიშვილი, პ. ა. გრუზინსკი, მ. ა. გრუზინსკი, ი. ს. ღულაძე, ვ. ლ. გუნია, გ. ნ. დიასამიძე, ა. ნ. დიასამიძე, ვ. ა. დემიდოვი, ნ. ბ. ერისთავი, ი. ე. ზუბალაშვილი, ი. ი. ზურაბიშვილი, გ. დ. ჟურული, გ. ნ. ყაზბეგი, რ. ნ. ყაზბეგი, ნ. გ. ქართველიშვილი, ა. ნ. ყანჩელი, ე. მ, კრინიცკი, კ. ზ. მაყაშვილი, ვ. გ. მელქუმოვი, კ. დ, მესხი, ვ. ს. მუსხელიშვილი, ს. გ. მდივანი, ა. ბ. მდივანი, ვ. გ. მაჩაბელი, ა. ი. ორბელიანი, ა. ფ. ფრიდონოვი, ვ. რუტკოვსკი, ი. მ. სუმბათაშვილი, ლ. ლ. ჩერქეზიშვილი, კანდიდატებად: დ. ა. დავითაშვილი, ი. ნ. მესხიშვილი, ექიმი ფიკანძე და გ. ცერცვაძე.

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 27 თებერვალს მოხდა ა. ი. ხატისოვის თავჯდომარეობით, საბჭომ დაადგინა 1) სთხოვოს ნამესტნიკს, პეტერბურგში წასვლისას ტფილისის უნივერსიტეტის ტიპი გამოარკვიოს, ამის შემდეგ კი კავკასიის უნივერსიტეტის მთავარ კომიტეტს სთხოვოს, უნივერსიტეტის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინოს და 2) დაავალოს საფინანსო, სამეურნეო და სატეხნიკო კომისიებს, ადგილობრივ დაათვალიერონ განოვის ქუჩაზე მდებარე სახლი თავად-აზნაურობისა და მას შემდეგ იქონიოს მსჯელობა მისი ყიდვის შესახებ.

◆ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ** თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, 1) ამაღლების საქალაქო სკოლას მილიუტინის სახელობის სკოლა დაერქვას და 2) ქალთა უმაღლეს კურსებზე დაარსდეს ორი სტიპენდია ქალაქის თვით-მმართველობის სახელობაზე.

◆ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის** კრება დღეს მოხდება.

◆ **ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის მეორე-ხარისხოვან მსესხებელთა საერთო კრება** გუშინ მოხდა თავ. მ. დ. ჭავჭავაძის თავჯდომარეობით. მომავალ სამის წლისათვის **რწმუნებულებად აირჩიეს**: ი. გ. ანდრონიკაშვილი, ლ. აფხაზი, კ. მ. ამირეჯიბი, ნ. ე. ბარათაშვილი, ვ. ლ. გელოვანი, შიო დედაბრიშვილი, ი. ს. ჯაბადარი, დ. დ. ჯუღუხაძე, ე. ო. იოსელიანი, ი. პ. ისარლიშვილი, ლ, ზუბალოვი გ. დ. კვალიაშვილი, ი. დ. კვალიაშვილი, გ. კვეზერელი-კოპაძე, ვ. რ. ყიფიანი, დ. ს. ქიქოძე, ვ. მ. მანსვეტაშვილი, გ. დ. მაყაშვილი, ნ. მ. მელიქოვი, შ. ა, მიქელაძე, ა. ი, მიტკევიჩი, გ. ი. მუსხელიშვილი, ა. ი. ნანობაშვილი, დ. კ. ნაცვლიშვილი, გ. ფ. ნათიშვილი, ს. ი. ფორაქიშვილი, ა. ი. ფორაქიშვილი, კ. სვიმონიშვილი, ი. ა. ცაგარელი, ი. ი. წინამძღვრიშვილი და ს. თ. ხუნდაძე, **კანდიდატებად აირჩიეს**: კ. რ. ამირეჯიბი, ა. ა. აფხაზი, ი. გ. ყარანგოზოვი და ი. გ. ციციშვილი.

◆ **ახალ კლუბის** წევრთა წლიურ კრების გაგრძელება 27 თებერვალს მოხდა თანამდებობის პირთა ასარჩევად. კლუბის **მამასახლისებად აირჩიეს**: 1) თავ. პ. ი. თუმანიშვილი, 2) თავ. მ. დ. ჭავჭავაძე, 3) ს. გ. კლდიაშვილი, 4) გ. ზ. გვაზავა, 5) თ-დ ი. ზ. ანდრონიკაშვილი, 6) თავ. მ. ი. ჯაბაკურიან-ორბელიანი, 7) თავ. ვ. ლ. გელოვანი, 8) ექიმი ვ. დ. ღამბაშიძე, 9) ექიმი ა. ნ. დიასამიძე, 10) ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი 11) ექიმი ვ. მ. მანსვეტაშვილი. **კანდიდატებად აირჩიეს**: 1) თავ. ნ. ჩ. ერისთავი, 2) ი. მ. ხარაევი, 3) თავ. გ. ე. ბაგრატიონ-მუხრანსკი, 4) თავ. ლ. ლ. ჩერქეზიშვილი, 5) გ. ა. ყარანგოზიშვილი და 6) ა. ზ. ბერელაშვილი. **სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს**: 1) თავ. კ. პ. თუმანიშვილი, 2) ი. ს. ფანცხავა, 3) ლ. მ. ანანიაშვილი, 4) ი. ი. რამიშვილი და 5) კ. დ. მადალაშვილი. **კანდიდატად აირჩიეს** დ. ბ. ცინცაძე.

სასამართლო

◆ **სალიტერატურო საქმეები.** 27 თებერვალს ოლქის სასამართლომ გაარჩია „ზაკავკაზსკაია რეჩის რ დაქტორის თავ. გ. ი. ფალავანდ შვილის სამი საქმე. პირველ საქ გამო სამართალში მიცემული ი სისხლის სამართლის მე-1033 მუხ ძალით, მეორის გამო-მე-1034 მ ლით, ხოლო მესამისა—მე-1038 მ ხლით. პირველ საქმისთვის 155 მ ჯარიმა (ან თვე-ნახევრის ციხე) უსაჯეს, მეორისათვის—100 მან. ჯ რიმა (ან ერთის თვით ციხე). ხოლ მესამისთვის—25 მან. (ან 7 დღ ციხე). თავ. ფალავანდიშვილმა სამს სასჯელში მხოლოდ ერთი, ყ ლაზე უდიდესი სასჯელი უნდა მ ხადოს; 155 მან. გადაიხადოს, ან თ ნახევრით ციხეში ჩაჯდეს.

◆ **სტუდენტი ვლადიმერ ვლ დიმიროვი სამოსამართლო პალ ტამ დამნაშავედ იცნო ცოლის მ კვლაში** და ექვსის წლის კატორ მიუსაჯა. ოლქის სასამართლომ ვლ დიმიროვი, როგორც ვწერდით, ამართლა და საქმე პალატაში გა ვიდა ბრალმდებლის განსაჩივრე გამო.

ქუთაის

◆ ახლად შედგარი **ქუთაისე ქართველ მსახიობთა ამხანაგო** კვირას 4 მარტს ქ. ყვირილაში იდ მაშებს „ბაგრატ მე-IV“. ყვირილ დან ამხანაგობა გაემგზავრება ქ თურაში, სამტრედიაში და სხვა ლ ბა-ქალაქებში და გაიმეორებს ამ პიესას.

◆ ქუთაისის სახალხო სკოლებ დირექტორს უმაღლეს მთავრობ დან ცნობა მოუვიდა - რომ მთავრ ბას განზრახული აქვს დააარსოს პერიის ყველა კუთხეებში რაც შ იძლება მეტი **სამოქალაქო სასწა ლებლები**. მთავრობა თითო სამ ქალაქო სასწავლებლისათვის 55 მ. სდებს წლიურად, ბინა სამოქ ლაქო სასწავლებლისათვის მცხო რებლებმა უნდა ააგონ.

◆ **ტფილისის სააბრეშუმო სად გურს** განზრახვა აქვს ქუთაისის გ ბერნიაში გახსნას თავისი განყოფ ლება. ჯერ არ არის გამორკვეულ სად გაიხსნება განყოფილება. ცდ ლობს ხონი, სამტრედია და ქუთა სი, რომ სადგური თავიანთ ტერ ტორიაზე მოათავსონ.

◆ 2 მარტს, საღამოს 6 საათ ქალაქის თვით-მმართველობის დარ ბაზში დანიშნულია **ქუთაისის მო მხმარებელ საზოგადოების კრებ** ზედამხედველ საბჭოს ასარჩევად.

◆ შაბათს, 25 თებერვალს **ქ. შ წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაის განყოფილების გამგეობის სხდო მა მოხდა.** ამ სხდომაზე გაირჩა ბევ რი ფრიად საყურადღებო საკითხ ბი.

◆ სადემეტროს (ბაღდადშია) სა ზოგადოებას დაუდგენია — გახსნა **შემნახველ-გამსესხებელი ამხანა გობა.**

ბიბლიოგრაფიის მაგიერი

„**შოთა ბროლიძე**“ რომანი ვ. მალაქიაშვილისა, „კულტურა“-ს გამოცემა, № 9.

ბ. ვ. მალაქიაშვილს, ასე თუ ისე, ღირსად თუ უღირსად ქართველი მკითხველები იცნობენ, როგორც ახალგაზრდა პოეტს, პოეტს გულგატეხილს, პესიმისტური ლექსების მოღიღინეს, მუშათა კლასის მოტრფიალეს. მაგრამ მას დღემდე არ იცნობდნენ როგორც ბელეტრისტს და, აჰა, ბოლოს გაგვაცნო თავისი ბელეტრისტული ნაწარმოებიც, რომელსაც ეწოდება შოთა ბროლიძე. ეს რომანი შეიცავს 256 გვერდს.

ამ წიგნის გამოსვლას ძლიერ ბევრი ელოდა მოუთმენლად. გამოცემა იკისრა გამომცემლობა „კულტურამ“. ყველასათვის ცხადია, როცა რომელიმე გამომცემლობა წინდაწინვე აცხადებს ხელის მოწერს, წინდაწინვე აგენტებისა და აგენტურის საშუალებით გამოსაცემად განზრახულ წიგნს სახელს უკეთებს, მკითხველი საზოგადოებაც ხელს აწერს, ფულს წინდაწინ იხდის იმ განძრახვით, რომ მას გამომცემლობა ღირსეულ ნაწარმოებს მიაწოდებს. ამისათვის, ჩვენის აზრით, ფირმა, რომელიც კისრულობს წინასწარი ხელის მოწერით ვისიმე ნაწარმოების გამოცემას, ვალდებულია იყოლიოს ღირსეული პირებისაგან შემდგარი სარედაქციო კომისია და ვისიმე ახლად გამოსაცემი ნაწარმოები მხოლოდ მას შემდეგ უნდა გამოაცხადოს გამოსაცემად, როდესაც კოლეგიალური სარედაქციო კომისია მოიწონებს. გარდა ამისა გამომცემლობას უნდა ჰყავდეს ცნობილი სტილისტიც და გამოცდილი კორექტორიც, თორემ წიგნი შეიძლება კარგი შინაარსის იყოს, მაგრამ ენის მხრივ ყოვლად მახინჯი. სამწუხაროდ ჩვენდა საზარალოდ ხელის მომწერლებისა მალაქიაშვილის რომანი კოჭლია შინაარსის მხრივ, ფეხებ მომტვრეულია ენის მხრივ. (კარგია მხოლოდ კორექტურა)

მოვიყვანოთ მოკლე შინაარსი.

რომანი თანამედროვე ცხოვრებიდან არის აღებული, ე. ი. გვიხატავს (რასაკვირველია ავტორის აზრით) ოცნების სამთავროდან, ცხრაას ხუთი წლიდან სინამდვილის სამფლობელოში გადასვლას.

ქალაქელი შეგნებული „პრინციპის“ მუშა შოთა ბროლიძე გაზაფხულის პირად ბრუნდება სოფელში თავის ღარიბ მამის ოჯახში. შოთას ოჯახში არავინ ელოდა და მისმა დაღვრემილმა, მოქანცულმა სახემ ოჯახის წევრები საგონებელში ჩააგდო. დაღონების მიზეზს თვით შოთა არავის უმხელდა, მაგრამ თვით მისივე თავის თავთან ლაპარაკით ირკვევა, რომ შოთას, ამ გმირს, ქორში ნაწრთობ მუშას, ვერ გადაუტანია ელენეს უარი. ელენეც ქალაქელი მუშა ქალია, მისი შეგნებული ამხანაგი. შოთას დიდს პატივსა სცემს, მაგრამ ცოლქმრულ კავშირზე კი უარს ეუბნება. შოთასთვის ეს უარი მოულოდნელი მეხია, რომელიც მთელ მის არსებას არყევს. ასე წარმოიდგინეთ საყვარელ ქარხანაზედაც კი ხელს იღებს, სტოვებს ამხანაგებს, სტოვებს საზოგადო საქმეს, გაურბის ელენეს და დაძმარებული მიდის სოფელში იქ მამასთან ერთად მუშაობს, უხალისოდ და უსულგულოდ ერევა სოფლურ საქმეებში. ხშირად დაღონებული კვნესის, ბორგავს, ვერ ისვენებს. შოთას ასეთი მდგომარეობა დედას, მართას, იმდენად აშინებს, რომ მკითხავსაც აკითხვინებს და შელოცვილ წამლებსაც მოუტანს, მაგრამ, ცხადია, „შეგნებული მუშა“ ცრუმორწმუნე არ არის. შოთას ასეთი მდგომარეობა სულ რაღაც ერთ თვეს გასტანს. ერთ კვირა დღეს შოთა სასოფლო სათამაშოზე გადის და ნაღვლიანად უცქერის, თუ როგორ თამაშობენ სოფლის ქალ-ვაჟები. უგულოდ შესცქეროდა ცეკვას, მაგრამ, როდესაც სოფლის მშვენება, გაბრიელის თამარი, ჩამოუვლის, შოთაც თან და თან მხიარულდება, იგი იხიბლება თამარის მშვენიერებით... ის ხარბათ შესცქერის თამარას.

თამრო კი:

„შველია თუ ჯეირანი, მაღალი ალვის ხის ტანა, ლერწამივით მოქნილი,... ხელებ გაშლილი, კისერ მოღერილი დაფრინავს, მიწას ფეხს არ აკარებს, თვალებს ნაბავს ტუჩებს თითქო საკოცნელად ამზადებსო, ლოყები ცოტათი გაალისფერებია, აფეთქილ გულმკერდს ხან აქეთ მიაბრუნებს და ხან იქით. ზედ ძუძუები აბორცვია, ქორფა ნარნარი გვრიტებივით გამოიყურებიან, თეთრი ჩითი ვერ ფარავს მას და ყველა მას უცქერის, ენატრება...“

და შოთასაც ენატრება. „მის გულს ისარი მოხვდა, ვიღაც ძლიერად შეეხო მის გულის ძაფებს, აუთრთოლა, კაეშნის ლეჩაქი მოეფხრიწა... თვალებმა გაუცინეს. მოცეკვავემ მიჯაჭვა.“

უცქერის მოცეკვავე თამროს „თამრო კი ცეკვავს. მიბნედილი თითქოს უხილავ ღვთაების წინაშე ლოცულობს, ცას შევედრის... კელაპტრებათ ბრძოლის მკლავები აუნთია... მზეს სხივებს უკოცნის... ჩამავალიც (?) ხარბათ სწუწნის მის ვარდის ბაგეთ“.

შოთა ვერ ძლება... „ზეციერია თუ მიწიერის, ეკითხება თავის თავს.“

შოთა უკვე შეყვარებულია. მას აგონდება ამხანაგი ელენეც „მის გარეშე სხვისი შეყვარება“ არ შეიძლებაო, ფიქრობს, მაგრამ სინამდვილეს თავისი გააქვს, თამროს გარეგნობა სძლევს. შოთა თამროს ეცნობა და ერთ კვირაში სიყვარულსაც გამოუცხადებს—თურმე თამროსაც ერთი ნახვით შეუყვარდა შოთა... ერთ მშვენიერ საღამოს შოთა თამროს ეკკლესიის ეზოში პაემანზე იბარებს. შოთა უნდა მოეხვიოს და ჩაჰკოცნოს, მაგრამ თამრო ჯვარის წერამდე „და-ძმასავით ცხოვრებას“ ითხოვს... პრინციპის კაცი და ჯვარის წერა? არ ესიამოვნა შოთას, მაგრამ... მაგრამ მაინც გარბის მღვდელ ანტონთან. ანტონი ახალ გაზრდა მღვდელია-მას მოსწონს შოთა და უნდა „ასიამოვნოს. იგი თანხმდება, და ასე უცბად, მშობლების ნება დაურთველად, სწერს ჯვარს... ახლად ჯვარდაწერილები მამა ანტონის თანხლებით მიადგებიან გაბრიელის ტრადიციულ ოჯახს. თამრო გაბრიელის ერთად ერთი ასულია („სხვა ძე არ ესვა გაბრიელს მარტოდენ მარტო ასული!“) გაბრიელ და მისი თანამეცხედრე დიდად ჯავრობენ, მაგრამ ბოლოს მაინც საქმე მშვიდად გათავდება და მეორე დღეს ქორწილიც გაჩაღდება. შოთა გაბრიელისას ზედ სიძედ შევიდა.

აღფრთოვანებული შოთა დატრიალდება სოფელში. იღებს მხურვალე მონაწილეობას სოფლის საჭირ-ბოროტო საქმეებში, აწყობს ნებადართულსა და ნება დაურთველ კრებებს, გარს შემოიკრებს ახალგაზდებს, უკითხავს, ავითარებს. მათი შემწეობით სოფელში არსდება კოოპერატიული დუქანი და სხვა. თამროსაც უკითხავს და აკითხებს წიგნებს, მაგრამ თამროს არაფრად უხარიან, როდესაც შოთა ღამით იგვიანებს: მას ალერსი სწყურიან, შოთა კი სოფლის საქმეებს ეალერსება, საზოგადო საქმეს პირადზე მაღლა აყენებს.

ცოლსა, ცოლის მშობლებსა და შოთას შორის თავს იჩენს უფსკრული... კოოპერატიულ დუქანსაც სოფლის ბობოლები გაქურდვენ, ბრალს კი შოთასა და მის მომხრეებს დასდებენ. შოთას სოფელში თანამგრძნობი აღარა ჰყავს... ქალაქელი ამხანაგებიდანაც წერილი მოსდის... ისიც სტოვებს სოფელსა, თამროს და ისევ ქალაქში მიდის, სადაც ძველებურ მუშაობას განაგრძობს. შეხვდება ძველ სატრფოს ელენესაც, იგი ამხანაგურად მიიღებს, ელენესადმი სიყვარულმა ისევ იფეთქა; ამას თვით ელენემ შეუწყო ხელი. შოთა და ელენე, ყველას თვალსაჩინოდ, ერთად ცხოვრებენ. ორივენი ბედნიერები არიან, მაგრამ მათ მყუდრო ცხოვრებას სწამლავს თამროს წერილი. იგი ატყობინებს, ფეხმძიმე ვარ და ეხლა მაინც მნახე, ჩემს სიკვდილ-სიცოცხლეს დაესწარიო. შოთა თავს ანებებს ელენეს და მიდის თამროსთან... თამრო სიხარულით სტირის, შოთაც „ანგარიშ მიუცემლად მუხლებზე დაეშო.—თამრო, თამრო... ეს და სთქვა და ტუჩებში ჩაეკრა“.

თამრო მშვიდობით მოლოგინდა, ვაჟი შეეძინა. „შოთამ, რომელსაც თავის დღეში სხვის წინ ქედი არ მოუხრია, დაიჩოქა და მთელ ქვეყანას თაყვანი სცა... კურთხეულმ მშობელმა ის სიცოცხლის წყარო აღიარა. მის სისხლსა და ხორცშ აჩუხჩუხა უდიდესი ძალა თვისი, რო მლის სახელია „უკვდავი სიცოც ხლე“.

სახლი აკურთხეს „და დამყარდა გა ბრიელის ოჯახში უსაზღვრო ბედ ნიერება. ყველა ახლად შობილს შე ჰხარის, სული და გული მას მიე ჯაჭვა. მხოლოდ შოთას გულში ირე ვა ათასნაირი რამ. ახლად შობილი ელენე, თამრო, — აი ვის დასტრია ლებს მისი სული და გული, აი ვი სწიწკნიან მას“. შოთას უსაზღვრო უყვარს თავისი შვილიკო „ლამი დადნეს მისი მოგონებით“ მაგრა თამროსთან დარჩენა და ელენეს მო შორება მისთვის წარმოუდგენელია ის ასე მოსთქვამს:

„ჩემი წასვლა აქაურობას მოშხა მავს, აქ დარჩენა კი მე... მაშ უნდა წავიდე... მარა შვილიკო? ის ვის და უტოვო? თამრო, თამრო! რამდენი იმედი დამისამარე, რამდენი აღმა ფრენა დამიქვესკნელე?.. ღმერთო ჩემო? რა ვარ? როგორი გულის პა ტრონი? რა იმალება ჩემი გულის სიღრმეში? განა ჩემი შვილიკოს მშობელი დედა არ უნდა მიყვარდეს? განა მასთან დარჩენა უნდა მიმძიმდებოდეს? თამრო... თამრო!.. ახ.. ელენე!..“

„ელენე უცებ მოაგონდა. მთელი არსება შეერყა, შეშინდა... თავს ზარი დაეცა, მზად იყო მუხლი მოეყარა ელენეს ხატების წინაშე და პატიება ეთხოვა...“

„როგორ გამიარა გულში თამროს შერიგებამ, თამროსთან დაბრუნებამ? განა ეს შესაძლებელია? მაშინ ელენე? ჩემი ღირსეული მეუღლე, ჩემებრ მგრძნობი, ჩემებრ მოაზროვნე?.. ელენე, ელენე! მაპატიე... მაპატიე...“

◆ 26 თებერვალს ახალ-სენაკის საკრებულო დარბაზში მოხდა **წლიური კრება ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ადგილობრივ** განყოფილებისა.

◆ **სოფ. ძონძირში** (სამეგრელოშია) 22 თებერვალს, მინდვრად უპოვნიათ მოკლულ კაცის გვამი. მოკლულის ვინაობა ჯერ გამოურკვეველია.

◆ 26 თებერვალს ყვირილაში ამოძრავებულმა მატარებელმა შეხტომის დროს გადმოისროლა და ვაგონის ქვეშ მოიქცია რკინის გზის მუშების ზედამხედველი **ლავრენტი ბუბაშვილი.** ბუბაშვილს მატარებელმა ხელი მოჰგლიჯა და ძალიან დაასახიჩრა.

◆ 22 თებერვალს, საღამოს 4 საათზე, ფ. კედიამ რევოლვერით მძიმედ დასჭრა ნ. ჭითავა. (ჭითავამაც ესროლა კედიას, მარა ის მსუბუქად დასჭრა), როგორც ამბობენ შეტაკება მათ შორის რომანიულ ნიადაგზე მომხდარა.

◆ ქალ. ქუთაისის ვაჭართა ბიუროს თავმჯდომარემ ბ-ნმა ვარლამ ჭილაძემ 25 თებერვალს წერილობითი განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში **ქუთაისში სამოქალაქო საზოგადო ბანკის დაარსების** საჭიროებაზე.

◆ 27 თებერვალს, ქალაქის გამგეობამ მიიღო წლიური ანგარიში **ქალაქის მესამე პირველ-დაწყებითი სკოლისა.** 1911 წლის განმავლობაში სკოლაში ყოფილა 160 მოწაფე. სწავლის ფულიდან გაუნთავისუფლებიათ 48, შეუტანია სწავლის ფული 88. წლის განმავლობაში სწავლა მიუტოვებია 30 ბავშვს, სასწავლებლის შენახვა დამჯდარა 3,577 მ. და 64 კ.

◆ ხონიდან გვწერენ: სამასწავლებლო **სემინარიაში გაფიცულმა შეგირდებმა,** რომლებმაც მოითხოვეს მასწავლებელ ნიკოლაევის დათხოვა, მეცადინეობა განაახლეს.

◆ ამ დღეებში ხონში მოხდება **წლიური კრება** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებისა. („ცხოვ.")

ბ ა თ უ მ ი.

◆ **კვლავ საფუთო გადასახადის შესახებ** ქალაქის თავი თ-დი ანდრონიკოვი პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებს ქალაქის გამგეობას: სახელმწიფო დუმის საფინანსო კომისიამ 23 თებერვლის სხდომაზე ბათუმში ქალაქის სასარგებლოდ საფუთო გადასახადის დაწესება მიიღო. მოდერნობა და დანიშნულება საფუთო გადასახადისა განხილულ იქნება ხსენებულ კომისიის შემდეგ სხდომაზე.

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

◆ **ს. ქვემო ალვანი.** (კახეთი) 15 თებერვალს დილის ხუთ საათზე მოხდა **სახლების ჩხრეკა,** თელავის მაზრის უფროსის განკარგულებით თვით მაზრის უფროსის თანაშემწე, ბოქაულ სტრაჟნიკებით და ქვეითა კაზაკის ჯარმა შემოარტყეს ალყა მთელ სოფელს და დაუწყეს სახლებს ჩხრეკა. სოფელს გარედ არავის არ უშვებდნენ, როგორც ამბობენ პოლიცია ეძებდა ყაჩაღებს **გოგიასა და ლეკს,** ჩხრეკამ საღამოს ხუთ საათამდე გასტანა. ყაჩაღები არსად აღმოჩნდნენ.

შეცდომების გასწორება.

გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ რაჭველის წერილში: „ეროვნება და ნაციონალიზმი", უკანასკნელ სვეტში სწერია: „მოითხოვენ ყველა ხალხის განთავისუფლებას ყოველგვარ **გონებისაგან**". უნდა იყოს: ყოველგვარ **მონობისაგან**".

გუშინდელს „წარკვევში" შემდეგი შეცდომაა; სწერია: „როდესაც პრესის" ყურადღების ცენტრი მიქცეულია არა მოქმედების დაფასებაზე, არამედ ამა თუ იმ პიროვნებაზე, მაშინ კამათსაც საზოგადოებრივი ინტერესი **ექნება**". უნდა იყოს: „**ეკარგება**".

დ Ე პ Ე შ Ე ბ ი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

პეტერბურგი. კვლავ ხმა გავრცელდა, კავკასიის ნამესტნიკი კადაჭყავთრ, სამხედრო მინისტრი დაბეჯითებით მოითხოვს მის მაგიერ მებრძოლი გენერალი დაინიშნოს. ნამესტნიკის მოადგილედ ასახელებენ გენერალ მიშჩენკოს.

აგრეთვე ამბობენ, ვატაციც გადადგება და მის ადგილას ნამესტნიკის წარმომადგენელი წიკოლსკი დაიჭერსო.

ეკატერინოდარი. სასამართლომ ფარმაცევტს მაძმანიშვილს ექსპროპრაციისთვის სიკვდილი მიუსაჯა.

ქართული მართლწერა.

(მცირე წერილი).

I

„კოლხიდაში" როგორც ბ. სილოვანი, ისე სხვა თანამშრომლებიც სწერენ: ცთა, ცთილობს; უცთის, უცთიან და სხ. ე. ი. იმ ქართულ ზმნებში, რომლებიც აღნიშნავენ რუს. ზმნების пытать, пытаться, стараться; ожидать — მნიშვნელობებს, ხმარობენ თ და არა დ. მე კი მგონია, რომ აქ დ-ს ხმარება უფრო სწორეა.

გავარჩიოთ ეს სიტყვა და გავყვეთ ჯერ „კოლხიდის" მართლ წერას. ცთა აი ფორმები ამისგან: ვცთი, ცთი, ცთის; ვცათე, ცათე, ცათა; ცათე, ცათეთ; ვცთილობ;—ვეცათე; ვიცთი, ვიცათე. ეს იგი მიმოხვრაში ჩვენ წავაწყდებით ისეთს ფორმებს, სადაც თ ყოვლად შეუწყნარებელია. აქედან სჩანს, რომ ამ სიტყვის ძირში დ უნდა იყოს; და არა თ. ამის დამამტკიცებელ საბუთს ჩვენ გვაძლევს მეგრულიც:

ცდა—მეგრ. ცადა; ვცდილობ—ვ=ცადუქ; ცდილობს—ოცადუ; ეცადე=ეცადი; იცდის—იცადუ *); იცადე—იცადი; მოიცადე—მიცადი და სხვა.

მაშასადამე ზემოხსენებულ სიტყვების ძირში უნდა იყოს დ, და არა თ, ამის წინააღმდეგ, მგონია, ვერავინ ვერაფერს იტყვის, და ამას ბ. სილოვანიც პირდაპირ აღიარებს. იგი ამბობს: „როცა ც-ს შემდეგ ხმოვანი ჩავარდება, მაშინ... დ ჩნდება, — ეს გვიჩვენებს, რომ ძირეული ხმა დ ყოფილა". (სალიტ. ქართ., გვ. 99, შენ. 1).

მხოლოდ ეს შეიძლება სთქვან: როდესაც ც და დ ერთმანეთისაგან გაყოფილი არ არის ხმოვანით და ერთი მეორის გვერდით არიან (ცდ), მაშინ დ კეთილხმოვანებისათვის გამოთქმის კანონით თ-დ ქცეულაო.

იმერეთში, მართალია, ცდა-ს მაგიერ მოისმის ცთა, მე ვფიქრობ, რომ აქ მაგრად გამოთქმული· არც თ-ი ისმის და არც დ, არამედ ამ ორ თანხმოვანთა რაღაც საშუალო ბგერა, რომელიც ხან თ-დ მოესმის კაცს და ხან დ-დ. ქართლსა და კახეთში კი, ვგონებთ, ხშირად გაიგონებთ გამოთქმებს—იცდის, ვცდილობთ, ცდა და სხვა. ჩვენი ლექსიკოლოგები—ჩუბინაშვილიც და ს. ორბელიანიც დ-ს ხმარობენ ამ შემთხვევებში.

თეორიულად კი ც—დან დ—ის ხმარება შესაძლებელია და ფონეტიკურის მხრით არავითარ უკანონობას არ წარმოადგენს.

ასეთ შემთხვევებში თ-ის ალაგას დ-ს ვიხმართ, თუ დ-ის ალაგას თ-სა ამით ჩვენი ლიტერატურა არც გამდიდრდება და არც გაღატაკდება, მაგრამ მაინც საერთო ერთგვარი მართლწერის დამყარებასაც თავისი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია დავასკვნა შემდეგი:

რადგან ზემო მოყვანილ სიტყვების (ცდა, ცდილობს, იცდის) ძირში არის ბგერა დ, და არა თ, რადგან დ-თ წერას ამ სიტყვებისას ადასტურებს ისტორიული ორთოგრაფიაც და რადგან თ-თ რომ ვსწეროთ ეს სიტყვები, ეს თ არ რჩება წარმოებულ ფორმებში, და ეს გარემოება, კი ცოტაოდენ არევას გამოიწვევს მიმოხვრის დროს, თუ იმერეთში სულ რამდენიმე პირი მაინც ხმარობს ასეთ გამოთქმებს (ცდილობს, ცდა და სხვა), უსათუოდ უნდა იწერებოდეს ეს სიტყვები დ-თ და არა თ-თ. რომ ამერლებისაგან ამ სიტყვებში დ-საც გაიგონებთ, ამას არ უარყოფს. ბ. სილოვანიც (ნ. სალიტ. ქართ., გვ. 98).

კანონიერ ფორმის უკანონობაზე გადაცვლას ამერი მწერლები (და ბევრნი იმერნიც) მაინც არ დაეთანხმებიან, და უბრალო ჟინიანობა იქნება ჩვენის მხრით აქ დ—ის გაგდება და თ—ის შემოტანის ცდა.

მაგრამ მეორეს მხრით სიტყვები: ცთომა, შეცთომა, ცთენა, შეცთენა და მათგან წარმოებული სიტყვები უნდა იწერებოდეს „კოლხიდის" მართლწერით, ე. ი. თ-თ.

ყველა ეს სიტყვები ასე, ე. ი. თ—მოყვანილი აქვს ს. ს. ორბელიანსა. ეს ერთი. მეორე, ამ სიტყვების ძირში არის თ (და არად როგორც ამბობს ბ. სილოვანი, ნ. მისი სალიტ. ქართ., გვ. 98).

ამის საბუთსაც ჩვენ მეგრული გვაძლევს:

ცთომა (შეცდომა)—მეგ. ჩილათა (მეჩილათა). ვცთები—ეჩირთაქ (ფჩირთაქ). შევსცთი—მევჩირთი, მეფჩირთი. არ შესცთე—ვა ჩირთა.

ორ-ასოიანი ძირი ცთ ყველა წარმოებულ სიტყვებში უცვლელად რჩება. რადგან მოხსენებულ სიტყვების (ცთომა, შეცთომა: ცთენა, გაცთენა) ძირში არის **თ**, რადგან აქ **თ**-ს, ხმარებას ისტორიული მართლ-წერაც ადასტურებს და რადგან, როგორც ამას აღნიშნავს ბ. სილოვანიც, იმერეთში ამ სიტყვებს ხმარობენ **თ**-თ, ჩემის აზრით, ეს სიტყვები უეჭველად უნდა იწერებოდეს **თ**-თ...

ძველი ფორმების უარყოფა მაშინ, როცა ამ ფორმებს ხალხიც ხმარობს (თუნდ არა ყოველგან), ჩემის ფიქრით, ნაადრევია და მავნებელიც ჩვენის ლიტერატურისათვის.

ვ. ჭარაია.

---

*) დ-ს ჩვენ ვხმარობთ ხვა ასოს მაგივრად.

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერად ითვლება:
ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა
გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს,
და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის 1 **მარტამდე 2 მ.**, 1 მაისამდე 2 მ. და
დანარჩენ 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

რადგანაც 1 **მარტი** ახლოვდება ვთხოვთ ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მომწერის უფლება, რომლის ძალიდაც პრემია **მიიღო** და ამიტომ გაზეთის გზანაც შეწყდება.

„**სახალხო გაზეთის" კანტორა.**

ახალ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

რადგანაც ბევრი ახალი ხელის მომწერი პრემია „გრდემლის" გულისთვის ხელს 1 იანვრიდან აწერს, მათ საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ იანვრის გაზეთის №№ აღარ მოგვეპოვება ® **დღეიდან ახალი ხელის მომწერნი იანვრის ნომრებს ველარ მიიღებენ.**

„**სახალხო გაზეთი"-ს კანტორა.**

ქ. ოზურგეთის ჭირისუფლების საყურადღებოდ.

დღევანდელ პირობებში ყველაფერი განძრახული საქმე ოცნებადვე დარჩება თუ ქალაქს არ აქვს დასახული მიზნის განსახორციელებელი თანხა. ვინ არ იცის, რომ თქვენ მიერ საჭირისუფლო ქალაქი ძლიერ ღარიბია მისი წლიური ხარჯთ-აღრიცხვა ერთი ხეირიანი ნოქრის ჯამაგირს ძლივს უდრის; სხვათა შორის ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქალაქ ოზურგეთს ჯერ-ჯერობით ვერ განუხორციელებია თითქმის ვერც ერთი ქალაქის მცხოვრებთა სასარგებლო საქმე.

უსახსრობის ბრალია სხვათა შორის ისიც, რომ ქალაქს არა ჰყავს ხეირიანად მომზადებული მოურავი. ცხადია მომზადებულსა და ხეირიანს ხეირიანი სასყიდელიც უნდა და 800 მან. არავის იმსახურებს და ვერც რაიმე საქმეს გააკეთებს, რადგანაც საქმის გაკეთებას ყოველთვის სჭირდება წასვლა-მოსვლა და გავლენიან პირებთან კავშირი.

ამ რამოდენიმე წლის წინად ქალაქმა ნებართვა ითხოვა ქალაქის აფთიაქის გახსნისა, მაგრამ უარი მიიღო. ქალაქი ამით ცხადია გარდა **სხვა ხარგებლობისა** შემოსავალსაც ელოდა. დღეს, ღმერთმა მოჰხედა ქალაქს, როგორც უკვე ვიცით ქალაქებს, და მათ შორის ოზურგეთსაც უფლება აქვთ განცხადებითის წესით დაიარსონ აფთიაქი.

ქალაქის მამებო და ჭირისუფლებო! თუ მართლა გული შეგტკივათ ქალაქის, და მის მცხოვრებლებისათვის ნუ დააყოვნებთ და ეხლავ შეუდექით საქმეს. ყველასათვის ცხადია რომ არსებული ადგილობრივი აფთიაქი მცხოვრებლებს ვერ აკმაყოფილებს, მაზედ ბევრი საყვედური გაისმის. წარმოვიდგინოთ თუ გინდ ის იდეალურად, უნაკლულოდ იყოს მოწყობილი ის ხომ მაინც კერძო პირისაა და შემოსავალიც მარტო პატრონის ჯიბეში ჩადის. ქალაქის აფთიაქი, გარდა იმისა, რომ ქალაქის ქსენონს გაუწევს სამსახურს, ღრმად ვართ დარწმუნებული, ქალაქს წლიურად 2—3 ათასამდე წმინდა მოსაგებსაც მისცემს და ეს კი ქალაქის კასისთვის საგრძნობელი თანხაა. ეს თანხა შემდეგ ბევრ სასიკეთო საჭირო საქმეებს დაედება საფუძვლად. მაშ, ნულარ იყოყმანებთ, ეხლავ შეუდექით საქმეს.

მოკეთე.

ქართული საღამო

ე რ ე ვ ა ნ შ ი

23 თებერვალს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ ჯანფოლადოვის თეატრში გამართეს ქართული საღამო. საღამოს მეთაური ბრძანდებოდა ინჟინერი **ბ-ნი კალატოზიშვილი,** რომელმაც ყოველივე ღონე იღონა, რომ საღამო შინაარსიანი და შემოსავლიანი ყოფილიყო. პირველად წარმოადგინეს ჩეხოვის ვოდევილი „წინადადება". წარმოდგენის შემდეგ იყო დივერტისმენტი ორ განყოფილებათ, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა მოწვეული ცნობილი მომღერალი **ბ-ნ სარაჯიშვილი.** ხორომაც რამდენიმე ქართული სიმღერა შეასრულა. დარბაზი მორთული იყო ახიურ გემოვნებაზე, იყო გამართული ქართული დუქანი „მოდი აქ". ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალ-ვაჟნი სტუმრებს თავს დასტრიალებდნენ. არ დაივიწყეს რასაკვირველია ლეკური და უზუნდარა. საღამომ სასიამოვნოდ ჩაიარა. შემოსავალიც გვარიანი იყო.

წვრილმანები

საწყალი ლისოვსკი! რას იფიქრებდა, თუ ტფილისში ასე ძალიან დამარცხდებოდა! ხალხი არ დაესწრო ლექციას, მაგრამ სამაგიეროდ დაესწრო თანამშრომელი „ზაკ. რეჩ"-ისა ბ-ნი მ. წ., გაჰკრა, გამოჰკრა და კალმის ერთის მოსმით გაანადგურა პოპულიარული ლექტორი. თქვენ წარმოიდგინეთ, ლისოვსკის ლექციაში „იმდენი წინააღმდეგობა" ყოფილა, რომ კრიტიკის თვალით შეხედვაც კი შეუძლებელია.

საწყალი ლისოვსკი „ზაკ. რეჩ"-ის თანამშრომლების ხელში!

სამაგიეროდ ა[illegible] გამარჯვებული. ის [illegible] სა ჰბეჭდავს [illegible] ყველას [illegible], როდესაც დასაძინებლად გაემზადება, კითხვა დაიწყოს და... დაიძინოს. მართალია წერილი თვით აბსურდისა არ არის, ვშმაცე ვერ მიხვდება, რად უნდა გადაიბეჭდოს [illegible] ერთი მაური ვიღაცის კერძო წერილის კითხვაში და რად უნდა დაჰკარგოს დრო, მაგრამ მაინც ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ აბისელი მაინც გამარჯვებულად ჩასთვლის თავსა. მაგრამ მკითხველი?

საწყალი მკითხველი „ზაკ. რეჩ"-ის თანამშრომლების ხელში!..

⁂

კლუბის მამასახლისებიც გამარჯვებულნი არიან. მართალია ამ გამარჯვებას დამარცხება სჯობდა, მაგრამ ჩვენებურად, შინაურად დაც დამარცხებაც გამარჯვებად ჩაითვლება. რად უნდა დავივიწყოთ ჩვენებური ქართველური ტრადიციები? არც ანგარიშში გვინდა, არც ბუხჰალტერია, არც კანცელარია, არც ორდერები. წინად რომ „ორმაგი ბუხჰალტერია არ არსებობდა, ვერ შეჰქმნა საქართველოში დიდებული კულტურა? არა, დაც ისევ ძველებურად იყოს—ჩვენებურად. ვიმუშაოთ, როგორც გვესიამოვნება და, თუ ვინმემ კრიტიკა დასძრა, სამართალში მივცეთ...

საწყალი კლუბის წევრები უჯმოლ ინჟინრებისა და ვექილების ხელში!..

ყინტი.

სხვა და სხვა ამბავი

გერმანიის საიმპერიო სასამართლოს საყურადღებო დადგენილება.

გერმანიის საიმპერიო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა დეპარტამენტმა საყურადღებო განმარტება გამოსცა ერთ სასამართლო-საპოლიტიკო საქმის გამო.

პოზნანში ერთ პოლონელს პოლონელისათვის მოუყიდნია მამული იმ პირობით, თუ ამ მამულს არც გერმანელს და არც საიმპერიო გადასახლების კომისიას არ მიჰყიდდა. პირობის დარღვევისათვის მყიდველს 30000 მარკა ჯარიმად უნდა გადაეხადა გამყიდველის სასარგებლოდ. მყიდველმა პირობა დაარღვია და მამული გერმანელს მიჰყიდა. მამულის პირველმა მეპატრონემ ის 30000 მარკა უჩივლა სასამართლოში. სასამართლოს პირველმა ინსტანციამ მას უარი უთხრა, ხოლო უმაღლესმა საკასაციო სასამართლომ ამ საქმეს სულ სხვაგვარი შეხედა. თუ გერმანელი მოთხოვნა გერმანელებისა მიერ პოლონელისადმი მამულის მიყიდვის წინააღმდეგ მიმართული არ არის კანონის საწინააღმდეგო, არც პოლონელის ასეთივე მოთხოვნილება იქნება უკანონო. პოლიტიკური ბრძოლა კანონიერია, თუ მისი საშუალებანი დღევანდელ საზღვარს არ გასცილდება; კანონიერია მოქალაქეთა ერთი ჯგუფის მეორის წინააღმდეგ ბრძოლაც, თუ იგი კანონიერი გზით მიმდინარეობს. ამისათვის სასამართლომ პოლონელს სარჩელი სამართლიანად სცნო და 30000 მარკის გადახდა დააკისრა დამრღვევ პოლონელს.

— სათათბიროს სხვა და სხვა ფრაქციების წევრთ სათათბიროში საკანონმდებლო მოსაზრება წარმოუდგენიათ საარჩევნო უფლებებში მამაკაცებთან ქალთა გათანასწორებისა.

სამხრეთის პოლუსი

დეპეშები.

გობარტოუნი. (ტასმანია) ამუნდსენმა განაცხადა, შესძლებია მართლა სამხრეთის პოლუსს მიაღწია. ამუნდსენის ბინა სკოტის ბინიდან 400 მილით იყო დაშორებული. ზამთრის ბინა ამუნდსენს პოლუსთან უფრო ახლო ჰქონია ვიდრე სკოტსა.

ქრისტიანია. „აფტენპოსტენში" დაწვრილებითი ცნობებია დაბეჭდილი სამხრეთის პოლუსის ექსპედიციის თაობაზე. მზადება დაუწყიათ 1911 წლის თებერვალს [illegible]. 7 ოქტომბერს ხუთი კაცი ოთხის მარხილით 52 ძაღლით პოლუსისკენ გაემართა. 4 ნოემბერს სიგანის 85 გრადუსამდე მიაღწიეს, წინსვლა შეუძლებელი ყოფილა, რადგან ძლიერ მაღალი (10 ათასი ფუტისა) მთანი გადაუღობიათ. 18 ნოემბერს მისულან უზარმაზარ მინდორზე, 19 ნოემბერს 87 გრადუს და 40 მინუთამდე მისულან. 25 ნოემბერს ტრიალ ადგილს მისულან. 1 დეკემბერს თურმე სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარმა დაუბერა და სიცივე 23 გრადუსამდე ავიდა. ნაშუადღევს

თამრო გრძნობს, შოთა მას სავსებით არ დაჰბრუნებია. შოთა უფრო ბავშვს ეტრფის, ვიდრე თამროს—თამრო სცდილობს დაიბრუნოს შოთა, მაგრამ ამაოდ: შოთა ისევ გარბის ელენესთან... ერთ დღეს ელენეც ახარებს შოთას, რომ ისიც ფეხმძიმედ არის. და „შოთას გულმკერდზე მიეყრდნობა. შოთა კი სიხარულით ჩურჩულებს „ელენე, შენც? შენც ელენე..."

„**სოფელი და ქალაქი უცებ ორივ შეერთდა მის გონებაში—შვილები შვილები იქაც, აქაც**". შოთას და ელენეს სიხარულს ბუნებაც იზიარებს. მზემ „იქავ დასობილ (საქმე ბოსტანშია) ბარსაც შუქი სტყორცნა, ქარხნებიც აზუზუნდნენ, მაშვრალთ იწვევენ..."

აი მოკლე შინაარსი მალაქიაშვილის რომანისა. აქ არ მოგვიყვანია მხოლოდ სოფლის მასწავლებლისა და შოთას გრძელი ფილოსოფიური კამათი, არ მოგვიხსენებია ანტონ მღვდლის გოდება; არ მოგვიხსენებია გძელი და მოსაწყენი საკითხავი ბუნების აღწერა; არ მოგვიყვანია თამროს და საზოგადოდ რომანის ყველა გმირების ბუნებისადმი მიმართული ჩივილ-წუწუნი. თამრო, ეს უბრალო სოფლელი გოგონა გრძელი იერემიადათი მიმართავს და შესჩივის თავის უბედობას მთვარეს, ვარსკვლავს, ბულბულს, ნიავს და სხვას. აქ ყველგან ავტორი ცდილობს ბუნების სიმშვენიერე სავსებით გადმოგვცეს და მით მკითხველი მოხიბლოს, დაატკბოს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს; წინააღმდეგ, მკითხველი მოწყენილობას გრძნობს და გულში ამბობს, იწამე ღმერთი, დაასრულე ეგ ბუნების აღწერაო.

როგორც მკითხველი ხედავს, მოთხრობა ვერ არის სინამდვილეზე აშენებული, თუმცა ავტორი ყველგან ცდილობს უკიდურესი რეალისტი იყოს. მისი გმირი შოთა, რომლის პირით თვით ავტორი გვამცნევს თავის გულის ნადებს, ვერ არის შესახამებელი გმირი. მართალია შოთა უმწიკვლო, მაშვრალთათვის თავდადებული გმირია, მაგრამ თამროს მომჯადოებელი გარეგნობა მისი „ბროლის მკლავები, აფუნჩული გულ-მკერდი, ათქვლეშილი ძუძუები მწიფე ყურძნის მტევანსავით, თეთრათ მორთული-ალვის ხის ტანა, თავზე მანდილი, გულმოხდილი" შოთას აჯადოებს, ავიწყდება, რომ ჭრელი გველი შეიძლება შხამიანი იყოს, იტაცებს სქესობრივი ნდომა და უახლოვდება სოფლის ამ ქარაფშუტა გოგონას... თამროსთან ჯვარის წერამდე კი მოსტქვამდა:

„ელენეს ადგილი ჩემს გულში განა სხვა ქალმა უნდა დაიკავოს? მაშ არ მქონია რწმენა, ხასიათის სიმტკიცე! ხან ერთი ხან მეორე... მაშინ მოსალოდნელია ჩემი აზრების გამოცვლაც, მიმართულების უარყოფაც... არა, არა მე მტკიცე ვარ. ვერა! ელენე... მერე ხომ დამცინებს, მეტყვის ღრმათ არ გყვარებივარო. მართალიც იქნება. რა სიყვარულია ის სიყვარული, რომელსაც ყველა ლამაზი ქალი დაგავიწყებს"... მაგრამ ეგ მხოლოდ ლამაზი სიტყვებია და მეტი არაფერი. ლამაზი, უპრინციპო თამრო მაინც სძლევს პრინციპის მქონე ამხანაგ ელენეს და შოთაც თამაროსთან ცხოვრობს იმ დრომდე, სანამ ეს მისთვის სასიამოვნო იყო. შოთამ ისარგებლა თამროს გაზაფხულით და როცა შემოდგომა დაუდგა, მიატოვა. ხელში მერმე ვის დასტოვა? ძველი ტრადიციებით გაჟღენთილი ოჯახის ამარა. ერთი მითხარით, ამაზე მეტი რა ჩაიდინა იასონმა? (ნინოშვილის „ქრისტინე") განსხვავება ის არის, რომ იასონი აზნაური იყო, ჩოხა ეცვა, ქვეყანის ძირიანად შეცვლას არ ლამობდა, შოთა კი გლეხია, იქნება ლურჯი ბლუზაც აცვია, თმამოშვებული აქვს, თავი სოციალისტად მოაქვს. მე თუ მკითხავთ ქრისტინე კიდევ უკეთეს პირობებში იყო. მას შეეძლო ჯვარი დაეწერა თუ ვინმე გამოუჩნდებოდა, თამრომ კი ჯერ განქორწინების ნება უნდა იშოვოს და მერმედ მეორედ გათხოვებაზე იფიქროს. ნეტავი დაფიქრდა ეს პრინციპის ადამიანი იმ სასიშარი დრამის წინაშე, რომელიც მისი აჩქარებით, ხორციელი სულ სწრაფობით განუმზადა თამროსა და გაბრიელის ოჯახს? იქნებ მისთვის სულ ერთი იყო. როგორც სჩანს! ის ხომ იმით ყოფილა შეპყრობილი რომ **შვილი ყოლოდა სოფელშიაც და ქალაქშიაც და მით ეს ორი, ქალაქი და სოფელი, ერთი მეორისათვის გადაება, შეერთებინა** – ვინ იცის, იქნება რომანის გმირმა შეერთების მანიით შეპყრობილმა, ხვალ ელენესაც თავი დაანებოს და გადავიდეს საფრანგეთში. იქ სიყვარულს გამოუცხადებს ვინმე ქალს, შესძენს შვილს და მით საფრანგეთის რესპუბლიკას და რუსეთის მონარქიას შეაერთებს?

ასეა თუ ისე, ეს მოთხრობა თუ რომანი ჩვენს მწერლობაში ახალია. ვინც მას თავიდან ბოლომდე წაიკითხავს, ღრმად დარწმუნდება, რომ იგი არციბაშევის პირდაპირი მიბაძვაა. განსხვავება ის არის, რომ არციბაშევის სანინი აშკარაა, მალაქიაშვილი კი სცდილობს დაგვარწმუნოს, რომ შეიძლება „სული სამოთხეში იყოს და ხორცი ჯოჯოხეთში".

არციბაშევის გავლენა ატყვია თვით ზოგიერთა ვნებათ-ღელვის ამშლელ ადგილების გადმოცემას. მაგ. „სიომ კვლავ ჩადო თავი თამრიკოს ძუძუებში: გახსნილი ბლუზის კალთა აუწია, სტუმარს შიგ შეაჰვრეტინა".

„სიომ ჩაჰკოცნა (თამრიკო), თმა აუშალა გულში ჩაეხუტა, აფუნჩულებულ, თავისუფლად აბორცვილ ძუძუებზე გადაურბინა ბროლის მკლავები დაუკოცნა, ალვის ხის ტანზე რგოლად შემოეკრა, კაბა ფეხებში შეუკეცა". მისი მაყვლის თვალები აბორცვებულ-აფუებული გულ-მკერდი".

ბევრი რამ ისეთიცაა, რაც სინამდვილეში არ შეიძლება მოხდეს. მაგ. ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ გაბრიელი, ეს სოფლის დავით დროიძე, პროპაგანდისტ მუშას, ციხეში ნაჯდომს, ზედსიძედ არ ისურვებდა ისიც რეაქციის შემდეგ; თამროც, მშობლების ერთგული, შიშსა და ღვთის სიყვარულში გამოზრდილი, მშობლების ნება დაურთველად, „საგვირგვინო კაბის" შეუკერავად, ჯვარს არ დაიწერდა.

ერთი სიტყვით, რომანის შინაარსი ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს და მიგვაჩნია დაუმუშავებლად. ენის მხრით ხომ თავიდან ბოლომდე რაღაც გაუგებარია: იმერული და ისიც იმერეთის პროვინციალური.

ერთი სიტყვით, მოკლედ ამ რომანის შესახებ ჩვენი აზრი ამგვარია: გადმოცემა დეკადენტური, სქესობრივი საკითხი სანინისტური, იდეია ვითომც მარქსისტული, ენა ხონურ-მათხოვჯური.

ვინც ამგვარად თვის სახნავი
„ალმა ხნას და დალმა ფარცხოს,
მე ის იმ პურს ნულარ მაჭმევს,
რაც იმისგან გამოაცხოს".

გურული მკითხველი.

3 საათზე მოგზაურნი გაჩერებულან, რადგანაც გადაუწყვეტიათ, რომ უკვე სამხრეთის პოლუსზე არიან. მოგზაურებმა ნორვეგიის აბრეშუმის დროშა აამართეს და სამხრეთის აუარებელ მიწა-წყალს დაარქვეს მეფის ჰაკონ მე-VII მამული. ღამე მიდამოები დაუთვალიერებიათ 8 კილომეტრის მანძილზე. მეორე დღეს საღამოს ექვსი საათიდან დილის 7 საათამდე გაუზომნიათ და აღმოუჩენიათ, რომ ისინი 89 გრადუსსა და 55 მინუტამდე მისულან. პოლიუსთან მისვლისათვის მოგზაურებს გაუვლიათ 9 კილომეტრი. 3 დეკემბერს მშვენიერი დარი იყოო, ამბობს ამუნდსენი. სამხრეთის პოლუსს მივუახლოვდით იმდენად, რამდენადაც ჩვენის იარაღით, სექსტანითა და ხელოვნურ ჰორიზონტით, განსაზღვრა შეიძლება. პოლუსზე ნორვეგიის დროშა ავმართეთ და პატარა ფარდული ავაშენეთ.

ჩვენის ბინიდან პოლუსამდე 1400 კილომეტრი ისე გავიარეთ, რომ დღეში 25 კილომეტრს გავდიოდით.

მოგზაურნი უკან რო დაბრუნებულან 4 დეკემბერს მშვენიერი დარი ყოფილა. დეკემბრის დამლევს მოსულან თავის ბინაზე; ორი მარხილი და 11 ძაღლი და მოჰყოლიათ. უკან დაბრუნებას ქარის გამო მეტს ხანს მოუნდნენ. ექსპედიციის ყველა მონაწილე ჯანმრთელადაა.

საგეოგრაფიო საზოგადოებამ მთავრობას წინადადება მისცა, ამუნდსენს სუბსიდია მივცეთ ჩრდილოეთის ქვეყანათა გამოსაკვლევად და ხალხში ხელისმოწერაც გავმართოთო.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები.

პეკინი. ფიცის მიღების დროს პრეზიდენტი დაჰპირდა ხალხს დემოკრატიზმის სულის გაძლიერება ხელს შეუწყობს და ავტოკრატიის ნიშანწყალის მოსპობას, მან მტკიცედ უნდა დაიცვას კონსტიტუცია და ჩინეთის იმპერიის ხუთივე ეროვნება; მანიფესტით პრეზიდენტმა გაანთავისუფლა ზოგიერთა დამნაშავენი, გარდა მკვლელთა და მძარცველთა; ხალხს დარჩენილი გადასახადი აპატია.

ტოკიო. წარმომადგენელთა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა: იაპონიას მანჯურიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და თავისი ინტერესები აქვს და თუ მანჯურიაში იაპონიის ინტერესების მავნებელი რამ გაჩაღდა, იაპონია ზომებს მიიღებს. ვიდრე მოძრაობა და არეულობა მხოლოდ ჩინეთს ეხება, მთავრობა საქმეში არ ჩაერევა. იაპონიის წარმომადგენელებსაც აცნობეს, ნეიტრალიტეტი დაიცავითო.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

თეირანი. მთავრობის ფენდერისკამდე მისულმა ჯარმა ბრძანება მიიღო შაჰრუდში დაბრუნებისა. შირაზის გენერალ-გუბერნატორად ნამყოფნიზამ-უს-სალტანეს ჩამორთმეული ქონება დაუბრუნეს.

მოჰამედ-ალი სპარსეთიდან ბაქოს წავიდა.

ქოი. რუს მართლმადიდებელთათვის აშენებული დროებითი ეკლესია აკურთხეს.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

ბენგაზი. ზღვაზე ღელვის გამო ჯარმა ნაპირზე გადმოსვლა ვერ მოახერხა.

რომი. რუსეთის საელჩოს მრჩეველმა, საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა და ავსტრიის ელჩებმა, ცალ-ცალკე ჰკითხეს გარეშე საქმეთა მინისტრს, რა პირობებით დასთანხმდება იტალია სახელმწიფოების შუამავლობას ომის მოსასპობადაო. მინისტრმა აღუთქვა, მერე გიპასუხებთო.

რომი. სტეფანი ამბობს, ტყუილია ოსმალთა ცნობა, ვითომც სმირნისათვის ზარბაზანი დაგვეშინოსო.

რომი. „ტრიბუნა“ ხუთ სახელმწიფოს შუამავლობის გამო სწერს: იტალიას ურჩევნია ომი განაგრძოს და სადიპლომატიო მოლაპარაკების იმედს ნუ იქონიებსო.

ტრიპოლი. გუშინ 1500 არაბი და ოსმალი აინსარის თხრილებს დაეცა, მაგრამ დამარცხებული უკუიქცა იტალიელები არ დაზარალებულან.

რომი „სტეფანი“ იუწყება, ტყუილია სტამბოლიდან გავრცელებული ხმა, ვითომც 19 თებერვალს ბენგაზთან ბრძოლა მომხდარიყოსო.

სტამბოლი ტრიპოლის არაბები პორტას წერილით სთხოვენ, იტალიასთან ზავი არ ჩამოაგდოო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

28 თებერვალი.

საზღვარ-გარედ.

ტაფტი და ებრაელობა.

ჩიკაგო. ებრაელთა უბანში ტაფტმა იმიგრაციის თაობაზე ილაპარაკა: „ჩვენ გვირჩევენ, ოკეანეს იქითა მხრიდან მოსულ ხალხს ერიდეთ, ყოველთვის ვერ გამოდგებიან ხალხის საბატონოშიო. მაგრამ ვცადეთ და დავრწმუნდით, რომ უცხოელნი კარგად არიან მომზადებულნი თავისუფლებისათვისო“. ებრაელთა გაზეთებმა ჩვეულებას უღალატეს და შაბათს ნომრები გამოსცეს ტაფტის სიტყვის გამო.

ესპანია და საფრანგეთი.

მადრიდი. საფრანგეთისა და ესპანიის დელეგატები, რომელნიც მაროკოს საკითხის გამო იყვნენ შეკრებილნი, სესხის საკითხის თაობაზე შეთანხმდნენ.

გაფიცვა.

ბოხუმი. მუშათა ორგანიზაციებმა 80 კრება გაჰმართეს. კრებას დაესწრნენ ქრისტიანი მუშებიც და განაცხადეს, შტრეიკბრეხერობას არ გავწევთ, თქვენთან ერთად ვიბრძოლებთო. ქრისტიან მუშათა კავშირი კი მოწოდებაში მუშებს ურჩევს, გაფიცვას ნუ მიემხრობით, მაღაროების პატრონები ნებაყოფლობით აუსრულებენ მუშებს მოთხოვნილებებსაო. ესენსი და რუსის ოლქში მაღაროების პატრონებმა თვითონ მოიწვიეს მუშები სათათბიროდ. ოლქის უფროსმა არნსბერგმა გამოუცხადა ხალხს, მშვიდობიანობა არ დაარღვიოთ, თორემ პოლიციას ნაბრძანები აქვს წინააღუდგეს ყველას, ვინც მუშაობის მსურველთ ხელს შეუშლის და საჭიროებისას იარაღსაც იხმარსო.

ელბინგი. შიჰაუს გემთა ამგებ ქარხანაში გაფიცვა გათავდა. ქარხნის ადმინისტრაციას მუშებისთვის არაფერი დაუთმია.

ლივერპული. შაქრის დამამზადებელი სამი ქარხანა დაიკეტა, ქვანახშირის მუშათა გაფიცვის გამო.

ბერლინი. გერმანიის მრეწველები ამბობენ, გაფიცვა დიდი ვერ იქნება, რადგან გერმანიის ქვანახშირის მუშებს ფული არა აქვთო. ქვანახშირი სამ კვირას ეყოფა ხალხსაო.

პარიზი. მაღაროების მუშათა ერთის დღის გაფიცვამ მშვიდად ჩაიარა. გაიფიცა ლანსის, სიევენისა, ვლინის, ჰონსოლემინის, ეპიანაკის, ტრეტის, სენტ-ეტიენის, ტერნაურის, კრანზაკის და დეკანზვილის მაღაროების ყველა მუშა. რონ-ლა-მოლიერისა და სენტ-კლამანის მაღაროებში ყველა არ გაფიცულა.

ესსენი. დორტმუნდის მაღაროების მუშების ნახევარზე მეტად გაიფიცა.

აახენი. ვურმის ოლქში გლეხმა მუშებმა დაადგინეს, სოციალისტების ტაქტიკა მუშათა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კი არა დამღუპველიაო. ამავე დადგენილებით მაღაროების პატრონებს ურჩევენ, მუშებს სამართლიანი მოთხოვნილებანი აუსრულეთო.

ესსენი. მაღაროების 170.868 მუშებიდან გაიფიცა 112,139, ესე იგი 34 პროცენტი. წესიერება არსად დაურღვევიათ. მაღაროების გზებზე პოლიციელნი დგანან. გაფიცულებსაც ჰყავთ მზვერავი რაზმები.

ბეიტენი. მუშათა ბევრ კრებაზე მოლაპარაკენი ურჩევდნენ, გაფიცვას ნუ დაიწყებთო და მოუწოდებდნენ მუშებს ხელფასის მომატების თაობაზე მოლაპარაკება გაჰმართეთ დამქირავებლებთანაო.

ლონდონი. მიწის ქვეშ ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა შეამცირეს.

ლონდონი. მაღაროების მუშათა ბელადები კავშირელების სხდომაზე მოვიდნენ. ამბობენ, მუშების დასთანხმდებიან ხვალ მაღაროების პატრონთა და მუშები კონფერენციის მოწვევასაო.

პანამის არხი.

ვაშინგტონი. ცალკე შტატთა ვაჭრობის საქმის მომწყობმა კომისიამ მოიწონა პანამის არხის კანონპროექტი. 61 ფუთისათვის გემებს უნდა გამოერთვას ორ მანეთამდე, ამერიკის გემებს შეღავათი უნდა მოესპოს. იმ სარკინიგზო საზოგადოებათა გემები, რომელნიც ვაჭრობის თავისუფლებას ზღუდავენ, და გემთა ტრესტებს ნება არ ექნებათ არხში გავლისა.

ოსმალეთის არჩევნები.

სტამბოლი. ამომრჩეველთა არჩევნები 5 მარტს დაიწყება, დეპუტატებისა—ორი კვირის შემდეგ.

შეთქმულება

სეული. ამერიკის მეთოდისტთა დაპატიმრების თაობაზე შემდეგს იუწყებიან: ამას წინად დააპატიმრეს გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწე კორეელი ბარონი იუნჩიხო 80 კორელ მეთოდისტთან ერთადა. მათ იაპონიის საწინააღმდეგო შეთქმულებას აბრალებენ. შეთქმულება მოუწყვია თ-დი იტოს მკვლელის ძმას ონს და ჟურნალისტს იანს. პირველს გადასახლება გადაუწყვიტეს, მეორეს—ციხე. იუნჩიხო თავის ამხანაგებიანათ სეულის ციხეში ზის.

კუნძული კრიტე

კანეა. დროებითი მთავრობა სამსახურიდან გადადგა. მალტიდან ინგლისის ესკადრას მოელიან.

სტატს-სეკრეტრის მოკვლა.

რიო-დე-ჟანეირო. ალაგოსის შტატის ქალაქ მაცეიოში ჯარსა და ხალხს ბრძოლა მოუხდათ, რის დროსაც შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარი მოუკლავთ. დაჭრილიც ბევრია.

ხორვატელთა გაერთიანება.

ზაგრები. ბროდში მომხდარმა კრებამ გამოიტანა დადგენილება, რითაც პროტესტს აცხადებს უნგრეთთან შეერთებისას და მოუწოდებს ყველა ხორვატელთ, შევერთდეთ და საერთო ძალით მოვიპოვოთ საყოველთაო საარჩევნო უფლებაო.

ოსმალეთში.

სტამბოლი. მაჰმადიანთა ლიგამ, რომელმაც 1909 წლის 31 მარტს კონტრ-რევოლუციაში უმთავრესი როლი ითამაშა, მოწოდება გამოსცა, ტყუილია, ვითომც ჩვენ რეაქციის მომხრენი ვიყვენეთ, ჩვენი მიზანია სამშობლოს დაცვა და სარწმუნების განმტკიცებაო.

ადანსა და ტოსიაში სამუნიციპალო არჩევნებში ოპოზიციონერებმა გაიმარჯვეს.

ბრძანება გასცეს ალბანეთის ჯგუფის მეთაურის, დეპუტატად ნამყოფის იზმაილ-ქემალის დაპატიმრების თაობაზე.

პარიზი. მილიერანმა პალატაში განაცხადა, შეუძლებელია სამხედრო უწყების პირთა საიდუმლო ატესტაციის მოსპობაო, იგი საჭიროა სახელმწიფოს უზრუნველსაყოფადაო. პალატამ 390 ხმით 122 წინააღმდეგ მილიერანის განცხადება მოიწონა.

რუსეთი

ჩეკების საქმე.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრის დარბაზში ბარონ ნოლკენის თავმჯდომარეობით წაკითხულ იქნა ფელიქს მეიერის მოხსენება ჩეკების შესახებ. დაესწრნენ კოკოვცევი, ტიმოშევი, შჩეგლოვიტოვი, მინისტრთა ამხანაგები, სენატორნი, ბანკების წარმომადგენელნი, უნივერსიტეტის პროფესორნი და მრავალრიცხოვანი საზოგადოება. თავმჯდომარემ წინასიტყვაობაში სთქვა: მთავრობას სურვილი აქვს ჩეკების პროექტის დებულებანი ჩეკების საერთაშორისო კანონის დებულებით შეუთანხმოსო. მეიერმა მოხსენება წაიკითხა: ჩეკების ხმარების შესაძლებელ და სასურველ საერთაშორისო შეთანხმების თაობაზე. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

მიწის ძვრა.

ვერნი. მესამე დღეა ღამით, ხან და ხან დღითაც, მიწა იძვრის და ისმის ძლიერი გუგუნი.

მცირედი პასუხი

ბ-ნ ჰამუთ-ბეის.

თავის პირველს წერილში მოკამათემ დაგვაბრალა, თითქო ჩვენ **ყოველს გამოცემაში** ცვლილებას ვახდენთ და ამითი შეუძლებლად ვხდიდეთ უკანასკნელ გამოცემასთან წინანდელის გამოცემის ხმარებასა. დასამტკიცებლად ამ თვისი ბრალდებისა მან მოიყვანა მაგალითად რავდენიმე ფრაზა ჩემი **„რუსკოე სლოვო“-დან**, სადაც უკანასკნელს მეოცე გამოცემაში სიტყვებს ფრაზებში ადგილი ეცვალათ შედარებით წინანდელ გამოცემასთანა; მაგრამ აღმოჩნდა, დღესავით ცხადად, რომ მოკამათე ულმობელად სცდებოდა. ის მცირეოდენად განსხვავებული რედაქცია რამდენისამე ფრაზისა იპოვებოდა არა მახლობელს გამოცემაში, არამედ მეათეში. მაშასადამე, ერთი მცირეოდენი ცვლილებიდან მეორემდის გაუვლია მთელს ათს წელიწადსა, და არა ერთსა და ორსა. მოკამათემ, თავის სასიქადულოდ, შეიგნო შეცდომა და მიატოვა იგი.

სამწუხაროდ, თითქმის ამ გვარივე შეუსაბამობა ჩაიდინა მან მეორე თავისს საკამათო წერილში. მან აღნიშნა სრულიად წვლილმანი განსხვავებანი ტექსტისა წინანდელ გამოცემებში და ახლანდელში, და დასძინა, რომ ეს განსხვავება, თუმცა მცირედიაო, მაგრამ ძლიერ აბრკოლებს ხოროთი კითხვასაო. დიაღ დააბრკოლებდა, თუ რომ წინანდელნი გამოცემანი სკოლებში იხმარებოდნენ უკანასკნელს გამოცემასთანა. მაგრამ ასე არ არის. ბავშვები, როგორც მოგეხსენებათ, ადვილად აფუჭებენ წიგნებსა, და რასაც ერთი ბავში ხმარობს, იგი მეორისათვის აღარ ვარგა. ამის გამო წინანდელნი გამოცემანი თითქმის მთლად გამქრალნი არიან სკოლებიდან და ამათში გამეფებულია უკანასკნელნი გამოცემები. წინანდელნი გამოცემანი იქნება გამოყენებაში იყვნენ ოჯახებში; მაგრამ აქ ხოროთი კითხვას ადგილი არცა ჰქონია, არც აქვს და ვერც ექმნება.

რა გვარი დაბრკოლება გველობება ხშირად წინ დასურათებულს სახელმძღვანელოთა ბეჭდვის დროს, გვიჩვენებს შემდეგი შემთხვევა. მეცხრამეტე გამოცემის ბეჭდვის დროს ლოსაბერიძის სტამბას დაეკარგა კლიშე მღვდლის სურათისა, რომელსაც ხელში ჯვარი უჭირავს დ ამთხვევინებს მლოცველთა. საჩქაროდ დავახატვინეთ ახალი სურათი და ჩამოვასხმევინეთ კლიშე. წინანდელ სურათში მღვდელს ჯვარი მარჯვენა ხელში ეჭირა და ტექსტშიც ასე იყო აღნიშნული. ახალს სურათში მხატვარს მღვდლისათვის ჯვარი მიეცა არა მარჯვენა ხელში, არამედ მარცხენაში, ეს უფრო ნორმალურიაო, და ასეც დაებეჭდათ. აღწერაშიც ნათქვამი იყო: მღვდელს ჯვარი მარცხენა ხელში უჭირავს. მეოცე გამოცემის დაბეჭდვის დროს წინანდელი კლიშე ეპოვნათ და ახლის მაგიერ შეცდომით იგი ჩაესოთ წიგნში. ამ კლიშეში კი, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მღვდელს მარჯვენა ხელში უჭირავს ჯვარი. აღწერაში კი მოხსენებული იყო მარცხენა ხელი. ეს შეუსაბამობა ვერ შეენიშნა ჩემის წიგნების კარეკტორს, თუმცა იგი საუკეთესო ქართველი ინტელიგენტია, დ აღწერაში არ მოეხდინა საჭირო ცვლილება. ამ სახით მოხდა უკანასკნელს გამოცემაში პატარა წინააღმდეგობა სურათსა და აღწერას შორის.

ეს გარემოება სწორედ ტრაგიკულს მდგომარეობაში მაგდებს. თუ გავასწორო ოცდა პირველს გამოცემაში მეოცე გამოცემის შეცდომა, ბატონი ჰამუდ-ბეი უზომოდ გამიწყრება: დახე, დახე კიდევ ცვლილება მოახდინაო. თუ არ გავასწორო, და სკოლა დამემდურება. რა ვქნა და რა ვარჩიო? ვიფიქრებ მთელის წლის განმავლობაში და ვგონებ ბოლოს უმორჩილესად ვთხოვ ეპისტოლეთი ბ-ნს ჰამუდ-ბეის—ნება მომცეს კარეკტურული შეცდომა მეოცე გამოცემისა გავასწორო ოცდა პირველს გამოცემაში.

ჩემი მხრივ ჩემს ისტორიულს დიდს ცოდოებს, აღნიშნულს ბ-ნი ჰამუდ ბეის წერილებში, იმითი მოვინანიებ, რომ ფიცს დავდებ: აღარ მოვახდინო იოტის ოდენაც ცვლილებაც კი ჩემს სახელმძღვანელოებში — ქართულსა და რუსულში, რაშიაც იმედი მაქვს მეგობრულად ხელს მომიმართავს ბ-ნი ჰამუდ ბეი.

იაკობ გოგებაშვილი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის მე-585-ე ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია მანგლისიდან, სადაც ავტორი სადგილმამულო კომისიის ინსტრუქტორის მოქმედების შესახებ თავიდან ბოლომდე ტენდენციურ და ყალბს ცნობებს გაწვდით. გამოკამათება მე საჭიროდ არ მიმაჩნია, თქვენს რედაქციას კი ვსთხოვ, გაეცნოს ამ საქმეს და თვითვე დარწმუნდეს ამ ცნობების სიყალბეში.*)

დავ. ვაჩნაძე.

---

*) რედაქციამ ცნობები შეჰკრიბა, გაეცნო საქმეს და დარწმუნდა, რომ ზემოხსენებულ კორესპონდენციის ავტორს, თავის ტენდენციურ ცნობებით, სამწუხაროდ მართლაც შეცდომაში შეუყვანივართ. რედაქცია.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. ყურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 1 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 18 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ს, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან;) სამგზ. № 6, I—II კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ, დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—II კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს, 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის, მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკითფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—[illegible] ქ. 56.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმ რება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფ ებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედ (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალ ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალ დებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფ გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დ ხმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვი** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქ ლანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედო სკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვ ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილ ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დ გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შ მოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობ შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილე ში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევ ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდი და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებუ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხად ბები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქ სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერ მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მო დანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რ ყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 51 და მ ლაკანის მოედანზე.

განცხადებანი

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრ ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავად მყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლო დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს ა იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმ ნავასარდიანი
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნებ კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურ გიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავ შვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, ში ნაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქა ლებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირი სა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სი ფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქა ლებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკი სა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება დ ხელოვნური კბილების ჩასხმა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვი უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციებ მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.26)

ყოველ-დღე
მოგვდის:

ახალ-ახალი წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კომარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ გვარი გამოსყული თევზი

(წ.—1131—2)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმებლოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ბაღოსნობა ძმ. ავსარქისოვებისა სად. სკრაში

კავკ. რკ. გზ. ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულ, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა** და **მცენარეებს** ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра З. Ж. Д. Авсаркисову.

ფირმა დაჯილდოვებულია ვერცხლის დიდ მენდლით 1911 **წ. მოსკოვში** გამართულ სრულიად რუსეთის ბაღოსნობის მოყვარეთა საზოგადოების საიუბილეო გამოფენაზე. და **ოქროს დიდ მენდლით ტფილისში** პირველ მორიგ ხილის ბაზარ-გამოფენაზე.
(6—1120—3)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.